**saapelacio Sesagebeli**
administraciul saqmeze

თბილისის სააპელაციო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

*შტამპის ადგილი*

საქმე №3ბ1497-20

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"
აპელანტის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მანანა ჩოხელი
მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

**mowinaaRmdege mxare:**

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**mowinaaRmdege mxaris warmomadgeneli:**

ნატო მაჭარაშვილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**sakontaqto piri:**

ნატო მაჭარაშვილი | 577080819

სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-5*

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

## sasamarTloSi dasabarebel pirTa sia

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**eTanxmebiT Tu ara saapelacio moTxovnas?**

**diax** ☐

**ara** ☒

**nawilobriv** ☐

რომელ ნაწილში?

## mowinaaRmdege mxaris mosazrebebi apelantis mier miTiTebul gasaCivrebuli gadawyvetilebis faqtobriv usworobebze

პირველ ფაქტობრივ უსწორობას - არ ვეთანხმები

ვერ დავეთანხმებით აპელანტის მსჯელობას, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა და დაადგინა ფაქტები და არასწორად მიიჩნია ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურები ადმინისტრაციული წარმოების ერთ მთლიან ნაწილად. აპელანტი ადმინისტრაციულ წარმოებად საერთოდ არ მიიჩნევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ საჯარო განხილვისთვის დოკუმენტაციის მომზადებას, შენიშვნებისა და წინადადებების წარდგენას, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში მოსაზრებების მოძიებასა და შეჯერებას და მხოლოდ აპელირებს იმაზე, რომ სამინისტრო უშუალოდ არ ატარებს საჯარო განხილვას და იგი რეალურად ტარდება საქმიანობის განმახორციელებლის მიერ. თუმცა, აქვე თვითონვე აღნიშნავს, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, იმისთვის რომ დადგეს საბოლოო შედეგი ანუ გაიცეს ან არ გაიცეს ნებართვა საქმიანობის განხორციელებაზე, აუცილებელი მოთხოვნაა საჯარო განხილვის ჩატარება, ხოლო საჯარო განხილვის ჩატარება იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ატარებს მას, სამინისტროს მხრიდან მაინც მოითხოვს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, საკითხის შესწავლას და წინადადებებისა და შენიშვნების მომზადებას.

შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ აბსოლიტურად სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

მტკიცებულება:

ა.

მე-2 ფაქტობრივ უსწორობას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა.

## mowinaaRmdege mxaris mosazrebebi davis axal faqtobriv garemoebebze

პირველ ახალ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა.

## axali faqtobrivi garemoebebi

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

**diax** ☐ რის საფუძველზე?

**ara** ☒

შენიშვნა-18

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?

**diax** ☐ რის საფუძველზე?

**ara** ☒

შენიშვნა-19

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

**diax** ☐ რომელი საფუძვლით?

**ara** ☐

შენიშვნა-20

ხომ არ ეპირებთ, შეგებებული სააპელაციო საჩივრის აღძვრას?

**diax** ☐ რომელი საფუძვლით?

**ara** ☒

შენიშვნა-21

## mowinaaRmdege mxaris mosazrebebi apelantis mier miTiTebul gasaCivrebuli gadawyvetilebis gauqmebis absolutur safuZvlebze

შენიშვნა-22

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გამოიკვლია სადავო საკითხი და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სწორი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, აპელანტის პირადი მოსაზრება, რომ ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს მიერ დადგენილია ცალმხრივად, არასრულად და ტენდენციურად - წარმოადგენს მხოლოდ აპელანტის მოსაზრებას და არ არის გამყარებული სამართლებრივი არგუმენტებით.

## mowinaaRmdege mxaris mosazrebebi apelantis mier miTiTebul gasaCivrebuli gadawyvetilebis samarTlebriv usworobebze

შენიშვნა-23

არ ვეთანხმებით აპელანტის მოსაზრებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობასთან დაკავშირებით და წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიციას სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით.

მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის „შპს „ბუკაპის" მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და წარმადობის გაზრდაზე (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის) პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტს, 2018 წლის 12 აპრილის N2-239 ბრძანებას მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის უკანონობის მოტივით და თავის სასარჩელო მოთხოვნის არგუმენტაციას არსებითად ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწყებული

იქნა არა 2017 წელს, არამედ 2018 წელს. ამდენად, მოსარჩელის პოზიციით, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2018 წლის იანვრის შემდგომ, სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი სადავო ბრძანების გამოცემისას ეხელმძღვანელა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული წარმოება ჩაეტარებინა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმების საფუძველზე.

აპელანტი მთელ თავის საჩივარს აგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის დარღვევაზე, კერძოდ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის დაუსაბუთებლობაზე (მე-4 ნაწილი) და ამბობს, რომ სასამართლოს მიერ არ მომხდარა სამართლებრივი შეფასება და მხოლოდ კანონიდან გადმოტანილი მუხლები იქნა ასახული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. აპელანტი ასევე მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და ამბობს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა ვერანაირი სამართლებრივი არგუმენტაციით ვერ ამყარებს მის პოზიციას იმის გათვალისწინებით, რომ დავის მიმდინარეობისას სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი იქნა ყველა დოკუმენტაცია, რაც კი მნიშვნელოვანი იყო სადაო საკითხთან დაკავშირებით, აპელანტი ასევე ვერ ადასტურებს, თუ საქმისთვის მნიშვნელოვან რომელ გარემოებაზე არ იმსჯელა სასამართლომ დავის განხილვისას და შემოიფარგლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს სწორედ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების თარიღი, რაც თავისთავად არსებითია გასაჩივრებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის სამართლებრივი საფუძვლის და შესაბამისად, ამ აქტის კანონიერების შეფასებისათვის.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" პირველი მუხლის თანახმად, „ეს კოდექსი არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე", ხოლო ამ კოდექსის რეგულირების სფეროს განეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურები".

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამავე კოდექსის 50-ე მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის პირველი იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 14 დეკემბრის კანონი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებისა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველმა ნაწილმა განსაზღვრა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების გავრცელება გამონაკლის შემთხვევებში და დაადგინა, რომ „2018 წლის პირველ იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის პირველ იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით".

მოსარჩელე მხარე აქცენტს აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ბუკაპის" მიერ 2017 წლის 4 დეკემბერს სამინისტროში წარმოდგენილი განცხადება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განცხადებას, ვინაიდან იგი არ შეიცავს მოთხოვნას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე და მხოლოდ ინფორმაციას აწვდის სამინისტროს ბუკაპის მიერ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვის

შესახებ, ხოლო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოება დაიწყო 2018 წლის 27 თებერვლის წერილით.

2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი პირდაპირ ავალდებულებდა საქმიანობის განმახორციელებელ პირს გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოეწყო მისი საჯარო განხილვა, ხოლო მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენდა საქმიანობის განმახორციელებლის უფლებას გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის, მისი შედეგების გაფორმებისა და გზშ-ს ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ მიემართა ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს) ერთი წლის განმავლობაში და ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინა განცხადება ნებართვის (ან მშენებლობის ნებართვის) მიღებასთან დაკავშირებით.

ამდენად, სამინისტროში ნებართვის მიღების შესახებ განცხადების წარდგენა შეუძლებელი იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის, მისი შედეგების გაფორმებისა და მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით გზშ-ს ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების გარეშე.

ცალსახაა, რომ საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ კონკრეტული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობა და შესაბამისი პროცედურების განხორციელება ემსახურება ერთადერთ ლეგიტიმურ მიზანს, რომ დაინტერესებულმა პირმა კანონით დადგენილი პროცედურების განხორციელების შემდგომ, ჩამოაყალიბოს გზშ-ის საბოლოო ანგარიში და წარადგინოს იგი ნებართვის გამცემ ორგანოში, შესაბამისი ნებართვის მიღების მიზნით. ამასთან, ბუნებრივია, რომ 2017 წლის 4 დეკემბრის განცხადებით შპს „ბუკაპი" პირდაპირ ვერ მოითხოვდა სამინისტროსგან ნებართვის გაცემას, ვინაიდან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ავალდებულებდა მას ნებართვის მიღების თაობაზე წარდგენილი განცხადებისთვის დაერთო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ს ანგარიში, რაც გულისხმობდა სწორედ ამავე კანონის მე-6 მუხლით დადგენილი წესით საჯარო განილვის ჩატარების გზით ჩამოყალიბებული გზშ-ის ანგარიშის წარდგენას. ამასთან, წარმოდგენილ განცხადებაში საქმიანობის განმახორციელებლი პირდაპირ მიუთითებდა, რომ სამინისტროსთვის მიმართვის საფუძველს წარმოადგენდა სწორედ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, ამდენად სამინისტროსთვის ნათელი იყო, რომ შპს „ბუკაპის" ერთადერთ იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა სწორედ კონკრეტული ნებართვის მიღება, რისი შესაძლებლობაც მას მიენიჭებოდა მხოლოდ კანონით დადგენილი შესაბამისი პროცედურების განხორციელების შემდგომ. ასეთი ტიპის განცხადების წარდგენა კი ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების წარდგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის რომ განცხადებაში სიტყვასიტყვით არ იქნა ფორმულირებული მოთხოვნა ნებართვის გაცემის შესახებ, არ ნიშნავს, რომ აღნიშნული განცხადების წარდგენა ასეთი ნებართვის მოპოვების მიზანს არ ემსახურებოდა და არ წარმოადგენდა სამინისტროსთვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს. აქვე უნდა ხაზი გაესვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ განმარტებებს ადმინისტრაციული წარმოების და მისი დაწყების საფუძვლების შესახებ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება განმარტებულია, როგორც

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების გაუქმების მიზნით. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოება აქტის გამოცემასთან ერთად მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს იმ საქმიანობასაც, რომელიც დაკავშირებულია ასეთი აქტის მომზადების მიზანთან. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი სზაკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, არის დაინტერესებული პირის განცხადება, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან. ამავე კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი; ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს; გ) მოთხოვნას; დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას; ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში. 2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება. 3. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2017 წლის 4 დეკემბრის განცხადების საფუძველზე, სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები. კერძოდ, სამინისტრომ ოფიციალური კორესპონდენციით შესასწავლად გადაუგზავნა საქმიანობის განმახორციელებლის განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და სხვადასხვა უწყებებს, ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული დეპარტამენტებისა და სააგენტოების მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნა შენიშვნები და წინადადებები, რომელთა საფუძველზეც სამინისტრომ მოამზადა შენიშვნები, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ეკოლოგიური ექსპერტიზის წარდგენამდე გათვალისწინების მიზნით, გადაეგზავნა საქმიანობის განმახორციელებელს. სამინისტროს წარმომადგენელმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვაში, რაც დასტურდება აგრეთვე საჯარო განხილვის ოქმზე ხელმოწერით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სამინისტრომ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შპს „ბუკაპის" 2017 წლის 4 დეკემბრის განცხადების საფუძველზე, 2017 წლიდან დაიწყო სხვადასხვა სახის სამართლებრივი პროცედურების განხორციელება, რაც არის სწორედ შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის - ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით განხორციელებული საქმიანობა. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მომზადების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა კი წარმოადგენს სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საქმიანობის შემადგენელ ნაწილს და მოცემულ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება განცხადების წარდგენის შემდგომ მიმდინარე წარმოებისგან განყენებულ პროცესად. აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მომზადების მიზნით განხორციელებულ საქმიანობას და შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, მოცემული სადავო სამართალურთიერთობის ფარგლებში, შეუძლებელია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი განხილვის მიზნით, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ნებართვის

გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე დაწყებული წარმოება განვიხილოთ ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების წარდგენის შემდგომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებებისგან, მიმდინარე წარმოებისგან დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ წარმოებად, ვინაიდან ასეთი წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს შედეგად არ მოჰყვება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რაც ადმინისტრაციული წარმოების დასრულების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს.

ამდენად, გზშ-ს ანგარიშის წინასწარი განხილვის მიზნით წარდგენილი განცხადებისა და საბოლოო გზშ-ს ანგარიშის წარდგენის შესახებ სამინისტროში განცხადების წარდგენის შემდგომ, ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე წარმოებები არ წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ წარმოებებს. ისინი ერთიანი ადმინისტრაციული წარმოების შემადგენელი ნაწილებია, რომელთა ფარგლებშიც ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს საქმიანობას, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, ასევე მისი გამოცემის მიზნით, საბოლოო შედეგს კი, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აპელანტის ლოგიკით მაინც არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახის პროცედურები განხორციელდა 2018 წლის პირველ იანვრამდე ანუ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებამდე", მთავარია, რომ ნებართვის გაცემის ტექნიკური პროცედურა გადასცდეს ამ თარიღს და იგი ავტომატურად დაექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს". ანუ მარტივად, რომ ვთქვათ, საქმიანობის განმახორციელებლის მიმართვა, სამინისტროს მიერ დოკუმენტების შესწავლა და მომზადება, საჯარო განხილვა და სხვა მსგავსი პროცედურები, რომელებიც 2018 წლის პირველ იანვრამდე უკვე ჩატარებული იყო აპელანტის განცხადებით ანულირებულ უნდა იქნეს და სამინისტროში ხელახლა უნდა დაიწყოს აღნიშნული პროცედურები 2018 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შესული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად. აღნიშნული კი სრულიად ეწინააღმდეგება კანონმდებლის ინტერესს და არასამართლიან გარემოს ქმნის იმ საქმიანობის განმახორციელებლებისთვის, რომლებმაც მსგავსი პროცედურები წამოიწყეს 2018 წლის პირველ იანვრამდე.

სწორედ წინამდებარე არგუმენტაციას, სამართლებრივ ნორმებს და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს დაეფუძნა გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებაც. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად შეისწავლა სადაო საკითხი, წარმოდგენილი დოკუმენტები და შეეხო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას, იმსჯელა მათზე და აბსოლიტურად კანონიერად და დასაბუთებულად განახორციელა „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსის 48-ე მუხლის განმარტება და გამოყენება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, არაერთი სასამართლო პროცესი მიეძღვნა ამ საკითხის განხილვას, თუცმა არცერთ დავასთან მიმართებით არ ყოფილა მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტრომ არასწორად იხელმღვანელა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლით დადგენილი საგამონაკლისო წესით. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მიერ ამ საკითხზე აპელირება ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აპელანტის საჩივარი სამართლებრივად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## mtkicebiTi Suamdgomlobebi

| | | |
|---|---|---|
| მოწმე | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
| | | |
| ექსპერტი | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
| | | |
| სპეციალისტი | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
| | | |

შენიშვნა-26

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-28

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-29

## sxva saxis Suamdgomlobebi

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**diax** ☐ რის საფუძველზე?

**ara** ☒

შენიშვნა-31

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარგმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**diax** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**ara** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

**Tanaxma xarT Tu ara, rom saqme daamTavroT morigebiT?**

**diax** ☐ მორიგების პირობები:

**ara** ☒ რადგან

ფურცელი-32

## TandarTuli sabuTebis nusxa

დანართი 1: „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის 2-557 ბრძანება.

ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**diax** ☐

**ara** ☒ რადგან

შენიშვნა-35

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში გსურთ დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან

შენიშვნა-36

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**diax** ☐

**ara** ☒ რადგან

შენიშვნა-37

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**diax** ☐

**ara** ☒ რადგან

შენიშვნა-38

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | ნინო თანდილაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე | 3.12.2020 |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო შესაგებელი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები)